აზერბაიჯანის გამყვანი ტურიზმის მახასიათებლები

სარჩევი

აზერბაიჯანის ზოგადი სტატისტიკური მიმოხილვა 3

რომელ ქვეყნებს სტუმრობენ აზერბაიჯანელი ვიზიტორები 4

მოგზაურობის საშუალო ხანგრძლივობა 5

ძირითადი სატრანსპორტო საშუალებები 5

მოგზაურობის ძირითადი მიზნები 5

პროგნოზი 5

მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის სტატისტიკური მონაცემები 6

აზერბაიჯანელი ვიზიტორების სტატისტიკა საქართველოში 7

აზერბაიჯანელი ვიზიტორების მახასიათებლები საქართველოში (2013 წელი) 8

აზერბაიჯანის ზოგადი სტატისტიკური მიმოხილვა

აზერბაიჯანის მოსახლეობა 9.17 მილიონს შეადგენს. იგი ფართობით ყველაზე დიდი ქვეყანაა ამიერკავკასიის რეგიონში, მისი მთლიანი ფართობი 86,600 კვადრატული კილომეტრია. ჩრდილოეთით მას რუსეთი ესაზღვრება, ჩრდილო - აღმოსავლეთით საქართველო, დასავლეთით - სომხეთი, სამხრეთით - ირანი, ხოლო აღმოსავლეთით კასპიის ზღვა.

ტურიზმი აზერბაიჯანის ეკონომიკის ერთ-ერთი ყველაზე მზარდი სექტორია. მოგზაურობისა და ტურიზმის მსოფლიო საბჭოს (WTTC) მონაცემებით აზერბაიჯანის მშპ-ში ტურიზმის პირდაპირმა კონტრიბუციამ 2.2% შეადგინა, ხოლო მთლიანმა კონტრიბუციამ 8.4%. განხორციელებული მთლიანი ინვესტიციების 2.5% ტურიზმზე მოდის, ხოლო მთლიან ექსპორტში მისი წილი 7.4%-ს შეადგენს.[1]



წყარო: მოგზაურობისა და ტურიზმის მსოფლიო საბჭო (WTTC)

Euromonitor International-ის მონაცემებით, აზერბაიჯანიდან განხორციელებული ვიზიტების რაოდენობა 2008 წლის შემდეგ ზრდის ტენდენციით ხასიათდება. 2014 წელს მათმა რაოდენობამ 4,501,000 შეადგინა, რაც წინა წელთან შედარებით 7%-იანი ზრდაა. აღსანიშნავია, რომ ზრდის ტემპი უფრო მაღალი იყო გასულ წლებში.

გრაფიკი 1: გამყვანი ვიზიტების რაოდენობა წლების მიხედვით (ათასი)



წყარო: Euromonitor International

Euromonitor International-ის მონაცემებით ბოლო წლებში აზერბაიჯანის დანახარჯები საერთაშორისო ტურიზმზე სწრაფად იზრდებოდა. 2014 წელს ამ მაჩვენებელმა 3.8 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წელთან შედარებით 19%-იანი ზრდაა.

[1] The Economic Impact of Travel & Tourism 2014 - Azerbaijan

გრაფიკი 2: აზერბაიჯანელი ვიზიტორების დანახარჯები წლების მიხედვით (მილიონი დოლარი)



წყარო: Euromonitor International

რომელ ქვეყნებს სტუმრობენ აზერბაიჯანელი ვიზიტორები

2014 წლის მონაცემებით აზერბაიჯანელი ვიზიტორების მიერ ყველაზე ხშირად მონახულებული ქვეყანა რუსეთი იყო, შემდეგ მოდის საქართველო და თურქეთი.

გრაფიკი 3: აზერბაიჯანელი ვიზიტორების მიერ ყველაზე ხშირად მონახულებული ქვეყნები (ტოპ 5 ქვეყანა, 2014 წელი)



წყარო: Euromonitor International

ცხრილი 1: გამყვანი ვიზიტები ქვეყნების მიხედვით ათასებში

ქვეყანა	2010	2011	2012	2013	2014	ცვლილება% 2013/2014
რუსეთი	933	997	1,080	1,166	1,254	+8%
საქართველო	488	590	920	1,008	1,089	+8%
თურქეთი	486	579	593	654	712	+9%
ირანი	349	418	572	609	638	+5%
უკრაინა	74	83	100	107	86	-19%
არაბთა გაერთიანებული საემიროები	36	42	45	48	51	+6%
გერმანია	31	32	34	37	39	+7%
სხვა ქვეყნები	777	809	529	583	631	+8%

მოგზაურობის საშუალო ხანგრძლივობა

აზერბაიჯანელი მოგზაურების უმრავლესობა 43% საშუალოდ 0-3 დღეს, 23% კი 7 დღეზე მეტს ატარებს საზღვარგარეთ.

გრაფიკი 4: გამყვანი ვიზიტების საშუალო ხანგრძლივობა



წყარო: Euromonitor International

ძირითადი სატრანსპორტო საშუალებები

Euromonitor International-ის მონაცემებით აზერბაიჯანიდან გამყვანი ვიზიტების უმრავლესობა 41% საჰაერო ტრანსპორტით ხორციელდება, მისგან მცირედით განსხვავდება სახმელეთო ტრანსპორტის წილი და შეადგენს 40%-ს.

ცხრილი 2: ვიზიტები ტრანსპორტის ტიპების მიხედვით (ათასებში)

ტრანსპორტის ტიპი	2013	2014	ცვლილ %	წილი
საჰაერო	1,672	1,828	+9%	41%
სახმელეთო	1,748	1,816	+4%	40%
სარკინიგზო	739	799	+8%	18%
საზღვაო	53	59	+11%	1%

წყარო: Euromonitor International

მოგზაურობის ძირითადი მიზნები

2014 წელს ვიზიტების ძირითადი ნაწილი 70% დასვენების, ხოლო 30% ბიზნესის მიზნით განხორციელდა. ეს პროპორცია წინა წლებშიც ანალოგიური იყო.

გრაფიკი 5: ვიზიტების დინამიკა ტიპების მიხედვით (ათასი)



წყარო: Euromonitor International

პროგნოზი

Euromonitor International-ის პროგნოზით შემდეგ წლებში მოსალოდნელია აზერბაიჯანის გამყვანი ტურიზმის მნიშვნელოვანი ზრდა. 2015 წელს ვიზიტების რაოდენობა 4,813,00 (+7%), 2018 წელს კი 5,728,000-ს მიაღწევს.

გრაფიკი 6: ვიზიტების პროგნოზი (2015-2018 წწ-ათასი)



წყარო: Euromonitor International

2015 წელს დანახარჯების უფრო სწრაფი ზრდაა (+18%) მოსალოდნელი ვიზიტებთან შედარებით. შედეგად გამყვან ტურიზმზე დანახარჯები 4.5 მილიარდ აშშ დოლარს მიაღწევს.

გრაფიკი 7: დანახარჯების პროგნოზი (2015-2018 წწ - მილიონი დოლარი)



წყარო: Euromonitor International

მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის სტატისტიკური მონაცემები

გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის (UNWTO) მონაცემები აზერბაიჯანიდან განხორციელებული გამყვანი ვიზიტებისა და დანახარჯების დინამიკის შესახებ, განსხვავდება Euromonitor International-ის მონაცემებისგან. UNWTO-ს მონაცემებით 2013 წელს აზერბაიჯანიდან განხორციელებული გამყვანი ვიზიტების რაოდენობამ 4,285,000 შეადგინა, რაც 2012 წელთან შედარებით 11%-იან ზრდას წარმოადგენს.

გრაფიკი 8: გამყვანი ვიზიტების რაოდენობა წლების მიხედვით (ათასი)



წყარო: UNWTO

UNWTO-ს მონაცემებით 2013 წელს 16%-ით გაიზარდა აზერბაიჯანელი ვიზიტორების დანახარჯები გამყვან ტურიზმზე და 3 მილიარდს გადააჭარბა.

გრაფიკი 9: დანახარჯები გამყვან ტურიზმზე (მილიონი დოლარი)

წყარო: UNWTO

აზერბაიჯანელი ვიზიტორების სტატისტიკა საქართველოში

2014 წელს საქართველოს აზერბაიჯანიდან 1,283,214 მოგზაური ეწვია, ზრდამ წინა წელთან (33,797) 6% შეადგინა. ამავე წლის მონაცემებით აზერბაიჯანი, საქართველოში შემოსული მოგზაურების რაოდენობის მიხედვით მესამე ქვეყანაა.

გრაფიკი 10: აზერბაიჯანელი ვიზიტორების შემოსვლები



აზერბაიჯანელ ვიზიტორებს შორის ყველაზე პოპულარული თვე საქართველოში სტუმრობის თვალსაზრისით აგვისტოა.

გრაფიკი 11: საერთაშორისო შემოსვლები აზერბაიჯანიდან თვეების მიხედვით (2014 წელი)



აზერბაიჯანელი ვიზიტორების უმრავლესობა (83%) საქართველოში სახმელეთო ტრანსპორტით შემოვიდა. საჰაერო ტრანსპორტით მნიშვნელოვნად ნაკლები რაოდენობა დაფიქსირდა (15%).

ცხრილი 3: საერთაშორისო შემოსვლები აზერბაიჯანიდან საზღვრის ტიპების მიხედვით

აზერბაიჯანი	2013	2014	ცვლილ %	წილი
სახმელეთო	1,034,063	1,214,267	+17%	94.63%
საჰაერო	18,492	36,835	+99%	2.87%
საზღვაო	22,701	31,507	+39%	2.46%
სარკინიგზო	601	605	+1%	0.05%

აზერბაიჯანელი ვიზიტორების უმრავლესობა 60.8% წითელი ხიდის საბაჟო გამშვები პუნქტის გავლით შემოვიდა საქართველოში. შემდეგ მოდის ცოდნა 16%-ით და სარფი 9.3%-ით.

ცხრილი 4: საერთაშორისო შემოსვლები აზერბაიჯანიდან საზღვრების მიხედვით

აზერბაიჯანი	2014	ცვლილ %	წილი
წითელი ხიდი	779,976	+14.7%	60.8%
ცოდნა	204,713	+18.9%	16.0%
სარფი	119,457	+28.8%	9.3%
ყაზბეგი	54,509	+10.6%	4.2%
ვახტანგისი	49,269	+42.9%	3.8%
აეროპორტი თბილისი	35,279	+102.5%	2.7%
რკინიგზა გარდაბანი	31,507	+38.8%	2.5%
ვალე	5,917	+20.7%	0.5%
აეროპორტი ქუთაისი	1,151	+58.5%	0.1%
პორტი ფოთი	441	+21.8%	0.0%
აეროპორტი ბათუმი	405	+17.4%	0.0%
სამთაწყარო	394	-4.1%	0.0%
პორტი ბათუმი	145	-35.8%	0.0%
სადახლო	32	+220.0%	0.0%
პორტი ყულევი	19	+46.2%	0.0%

აზერბაიჯანელი ვიზიტორების მახასიათებლები საქართველოში (2013 წ)

აზერბაიჯანის რეზიდენტების 11% ვიზიტით პირველად იმყოფებოდა საქართველოში, ხოლო 89% განმეორებით.

მათ მიერ განხორციელებული ვიზიტების 54% ღამისთევას მოიცავდა, რაც ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაციის განმარტებით ტურისტული ვიზიტების წილსაც გულისხმობს. ვიზიტების 46% ღამისთევის გარეშე განხორციელდა. ვიზიტის საშუალო ხანგრძლივობამ კი 4 ღამე შეადგინა.

გრაფიკი 12: ვიზიტის ხანგრძლივობა



აზერბაიჯანელი რეზიდენტების ვიზიტების უმრავლესობის (42%) მთავარ მიზანს მეგობრებისა და ნათესავების მონახულება წარმოადგენდა. მეორე ადგილს 19%-ით დასვენება, გართობა და რეკრეაცია იკავებს.

გრაფიკი 13: ვიზიტის მთავარი მიზანი



აზერბაიჯანელი რეზიდენტების ვიზიტების უმეტესობა (46%) საქართველოში ავტობუსით განხორციელდა. ამ მაჩვენებლისგან მცირედით განსხვავდება საკუთარი მანქანით მოგზაურთა წილი 43%.

გრაფიკი 14: ტრანსპორტის ტიპები



აზერბაიჯანელი რეზიდენტების მოგზაურების ნახევარზე მეტი (61%) ვიზიტისას მეგობრის, ნათესავის სახლში გაჩერდა, 19% კი სასტუმროში.

გრაფიკი 15: განთავსების საშუალებები



საქართველოს შესახებ ინფორმაციის მიღების წყაროდ უმეტესად წინა ვიზიტის გამოცდილება სახელდება (71.9%). ამასთან მნიშვნელოვანი წილი აქვს მეგობრებისა და ნათესავებისგან ინფორმაციის მიღებას (39%). ინფორმაციის სხვა წყაროებს უმნიშვნელო წილი უჭირავს, თუმცა მათ შორის, განსაკუთრებით აღსანიშნავია ინტერნეტ რესურსების გამოუყენებლობა.

გრაფიკი 16: ინფორმაციის წყაროები



აზერბაიჯანელ ვიზიტორთა მხოლოდ 0.5%-მა გამოიყენა ინტერნეტ რესურსები საქართველოს შესახებ ინფორმაციის მოსაპოვებლად. ყველაზე პოპულარულია შემდეგი ინტერნეტ-საიტები:

www.georgia.travel
www.kaukaz.pl
www.lonelyplanet.com
www.wikitravel.com
www.info-tbilisi.ge

აზერბაიჯანის რეზიდენტების ვიზიტების უმრავლესობა მოიცავდა თბილისის მონახულებას (49%). სხვა პოპულარულ ტურისტულ ადგილებს განეკუთვნება რუსთავი (18%), მარნეული (17%), ბათუმი (7%), ლაგოდეხი (6%) და ბოლნისი (5%).

გრაფიკი 17: პოპულარული ტურიატული ადგილები



ანგარიში მომზადდა საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის კვლევებისა და დაგეგმვის სამმართველოს მიერ.

ტელ: +995 322 43 69 99 (30)

ელ. ფოსტა: infostatistics@gnta.ge

გამოყენებული ლიტერატურა:

The Economic Impact of Travel & Tourism 2014 – Azerbaijan

Euromonitor International- Outbound Tourism Data of Azerbaijan

Azerbaijan: Country-specific: Outbound tourism 2010 – 2014, The United Nations World Tourism Organization (UNWTO)

Azerbaijan: Country-specific: Basic indicators (Compendium) 2010 – 2014. The United Nations World Tourism Organization (UNWTO)

საერთაშორისო მოგზაურების კვლევა, 2013 წელი, ACT, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის დაკვეთით